

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა  
ასოციაცია სამართლებრივ მომსახურებას  
სთავაზობს იმედის სიუჟეტით  
დაზარალებულ მოსახლეობას**

მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებში გავრცელებული ცნობების მიხედვით, ტელეკომპანია „იმედი“-ს ეთერით 2010 წლის 13 მარტს, 20.00 საათზე გასული სპეციალური ქრონიკის შემდეგ, რომელიც მაყურებელს მოუთხოვდა ოკუპირებულ ახალგორის რაიონში დისლოცირებული რუსეთის რეგულარული არმიის დაგჭვებისა და სატანკო ბატალიონის მიერ გამოცხადებული სრული სამხედრო მზადყოფნის, მათ მიერ

ჭ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge  
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გეზის დედაქალაქისაკენ აღების ალბათობის, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში არსებული პანიკის, მალაზიებში და ბენზინგასამართ სადგურებში არსებული რიგების შესახებ, მკვეთრად იმატა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების რიცხვმა. რამდენიმე ადამიანის, მათ შორის, მცირეწლოვანი გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ტელეკომპანიის ეთერით გასული სიუჟეტით მიღებული შოკის ფონზე, გარდაიცვალა მანდილოსანი.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გამოთქვამს მზადყოფნას, უფასო იურიდიულ მომსახურება გაუწიოს ყველა იმ ადამიანს, ვისაც ტელეკომპანია „იმედი“-ს ეთერით გასული სიუჟეტით მიადგა ზიანი.

გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ინფორმაცია (ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია) აღნიშნული გადაცემის შედეგად დაზარალებული პირების შესახებ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე [tgurchiani@gmail.com](mailto:tgurchiani@gmail.com) ან მოაკითხოთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრებს.